საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№559 2020 წლის 18 მარტი ქ. თბილისი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. მიეცეს უფლება ყაზბეგის მუნიციპალიტეტს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 19 548 (ცხრამეტი ათას ხუთას ორმოცდარვა) ლარი, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 5 100 (ხუთი ათას ასი) ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 6 146 (ექვსი ათას ას ორმოცდაექვსი)

ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 163 003 (ას სამოცდასამი ათას სამი) ლარი, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 34 691 (ოცდათოთხმეტი ათას ექვსას ოთხმოცდათერთმეტი) ლარი, ჯამში – 228 488 (ორას ოცდარვა ათას ოთხას ოთხმოცდარვა) ლარი, მიმართოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში დავით აღმაშენებლის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად.

2. ეთხოვოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტს, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, ამავე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული განკარგულებების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიების შესახებ ინფორმაცია (თითოეული ღონისძიების მითითებით) წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**